ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**ლელა ლუარსაბიშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	30.10.2025 – 20.10.2026 წ.წ.
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს წევრი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება:	1. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.
საკრებულოს საბჭოებში მუშაობა:	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 15 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 15 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა - 13 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება - 13 სხდომა

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

დადგენილება - 83

განკარგულება - 97

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

➢ სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა: - 9 სხდომა; დასწრება: - 9 სხდომა

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“:

ჩატარდა: - 3 სხდომა; დასწრება: - 3 სხდომა

გ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

ჩატარდა: - 2 სხდომა; დასწრება: - 2 სხდომა

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 – 20.10.2026) ჩაატარა ბიუროს 13 და საკრებულოს 15 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 83 დადგენილება და 97 განკარგულება.

მხარდაჭერილი საკითხები:

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩემი მხრიდან მხარდაჭერილ იქნა

მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტა და დამტკიცება, მათ შორის:

წესების დადგენა / ნორმატიული რეგულირება

საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულება:

- **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ნოემბრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(ბიუჯეტში განხორციელდა 3 ცვლილება).**
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N174 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 6 თვის ანგარიშის წარდგენა.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:

- აიპ ფილიალის „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში" მიერ განხორციელებული პროექტის - „ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების სერვისების გაუმჯობესება სოციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის საქართველოში" - ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსგან **გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ**.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **ჯანდაცვის უზრუნველყოფის ქვეპროგრამების** განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N159 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N83 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამების** განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - **„ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა"** (პროგრამული კოდი: 06 02 19) - განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის **„პერსონალური ასისტენტის სერვისის"** პროგრამის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის - **„სტუდენტთა სწავლის დაფინანსების"** (კოდი: 04 05) - განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N160 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

- „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული **„შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე“** ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის N87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- **„შინ მოვლის თანადაფინანსების** (პროგრამული კოდი: 06 02 17) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- „ქალაქ რუსთავში **მე-11 მკ/რ-ის დროებითი საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახებისთვის** ელექტროენერგიის მომსახურების ღირებულების გადასახადის ხელშეწყობის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი: 06 02 05 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჩამოთვლილი საკითხების გარდა, აქტიურად ვუჭერდი მხარს თითოეულ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსახლეობის პრობლემების დროულ მოგვარებასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

❖ **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

- **ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის** პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;.
- **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის** განკარგვის კომისიის წევრი;
- **ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის** კომისიის წევრი.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილება და საქმიანობა საანგარიშო პერიოდში წარიმართებოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქმიანობა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში

როგორც საკრებულოს **სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ**, საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გავუკეთე და ვუხელმძღვანელე კომისიის 8 სამუშაო სხდომას.

- **გადაწყვეტილებების პროექტების განხილვა:** თითოეულ სხდომაზე კომისიის წევრებთან ერთად დეტალურად ვახდენდით საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტების წინასწარ განხილვას, ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში - შესაბამისი კორექტირებების შეტანას.

- **მუნიციპალურ სამსახურებთან კოორდინაცია:** მჭიდროდ ვთანამშრომლობდით მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურებთან. ჩვენი მიზანი იყო იმ მიზნობრივი პროგრამების ეფექტიანობის გაზრდა, რომლებიც ემსახურება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, მზრუნველობამოკლებულ ხანდაზმულებს, მრავალშვილიან ოჯახებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებს, სტუდენტებსა და სხვა ჯგუფებს.

- **ახალი ინიციატივები:**

სოციალური კომისიის ინიციატივით, საკრებულოს ორგანიზებით და მერიის მხარდაჭერით რუსთავის ისტორიული მუზეუმი, ქვეყნის მასშტაბით პირველი, აუდიოდისკრიფციის სტანდარტით ადაპტირებული სივრცე გახდა. სიახლე უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებს სივრცის, ობიექტების, არტეფაქტების და ვიზუალური დეტალების აღქმაში დაეხმარება. ასევე ხელს შეუწყობს ინკლუზიური ტურიზმის განვითარებას. ექსპონატების შესახებ აუდიო აღწერის მოსმენა QR კოდების მეშვეობით არის შესაძლებელი, რომელიც ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედია პოზიტივი“ განახორციელა.

- **მონიტორინგი და ბენეფიციარებთან შეხვედრები:** კოლეგებთან ერთად რეგულარულად ვმართავდი შეხვედრებს მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბენეფიციარებთან. აღნიშნული ვიზიტების მიზანი იყო ადგილზე, უშუალოდ მოსახლეობისგან მიგვეღო უკუკავშირი პროგრამების ხელმისაწვდომობასა და მათი განხორციელების ხარისხზე.

- **შუამდგომლობა მოქალაქეთა მხარდასაჭერად:** მოქალაქეთა მომართვიანობის საფუძველზე, კომისია ოპერატიულად უზრუნველყოფდა შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობის გაწევას, რათა დროულად გადაჭრილიყო თითოეული ადამიანის ინდივიდუალური საჭიროება.

ფრაქციული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია „ქართული ოცნება“ აქტიურად იყო ჩართული 2027 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისა და ფორმირების პროცესში. ფრაქციის წევრების მხრიდან, მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინებით, წარდგენილ იქნა არაერთი სტრატეგიული წინადადება, რაც აისახა კიდეც საბოლოო დოკუმენტში. ინიციატივები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორებიცაა:

- სოციალური მომსახურებების ხარისხობრივი გაუმჯობესება და ახალი ქვეპროგრამების დანერგვა;
- სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიზნობრივი დახმარებების პაკეტების გაზრდა;

• შიდა და ცენტრალური გზების რეაბილიტაცია და მასშტაბური ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა.

საქმიანობა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოში

როგორც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჩართული ვიყავი სოციალური, კულტურული და ჯანდაცვის მიმართულებით კამპანიებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მართვაში:

• **ადგილობრივ ხატმწერთა გამოფენა:** საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მოეწყო ადგილობრივ ხატმწერთა ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიებამ ხელი შეუწყო საეკლესიო ხელოვნების წარმოჩენას, ეროვნულ-სულიერი ღირებულებების პოპულარიზაციას და იმ ავტორთა შემოქმედების დაფასებას, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში.

• **„ვარდისფერი ოქტომბრის" საერთაშორისო კამპანია:** ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვესთან დაკავშირებით, საბჭომ განახორციელა მასშტაბური ჯანდაცვითი აქტივობა. კამპანიის ფარგლებში, რუსთავში მცხოვრებ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს ჩაუტარდათ სრულიად უფასო სკრინინგული და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო გამოკვლევები, რაც დაავადების ადრეულ პრევენციასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ისახავდა მიზნად.

• **თვალის უფასო გამოკვლევის აქცია** - საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, ბავშვთა დაცვის დღესათან დაკავშირებით, თვალის კლინიკა "ახალი მზერის" სპეციალისტებმა მოზარდებისთვის უფასო სამდიცინო კვლევები ჩაატარეს.

მაჟორიტარული საქმიანობა საარჩევნო ოლქში

როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი **(იაკობ ცურტაველის** სახელობის საარჩევნო ოლქი), ჩემი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტად მივიჩნევ ღია, უშუალო და უწყვეტ კომუნიკაციას ჩემი ოლქის მოსახლეობასთან.

ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოსთან (მერიასთან) მჭიდრო კოორდინაციით, ოლქის ტერიტორიაზე საანგარიშო პერიოდში წარმატებით განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მოსახლეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები:

• **შიდა ეზოების კომპლექსური მოწესრიგება და საგზაო ინფრასტრუქტურა:**

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, პირადად ვუწევდი მონიტორინგს შიდა ეზოებში მიმდინარე პროექტებს, როგორიცაა ფასადის რეაბილიტაცია და გადახურვა, ნაპრალების სამუშაოები, ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ლიფტების რეაბილიტაცია და სადარბაზოების რემონტი., ასფალტის ახალი საფარის დაგებასა და ტროტუარების რეაბილიტაციის პროცესს. საგზაო ინფრასტრუქტურის განახლებისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა სანაპიროს, მარჯანიშვილისა და დადიანის ქუჩებზე.

აღნიშნულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო გარემო და წლების განმავლობაში არსებული გადაადგილების პრობლემა გადაჭრა.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის, საანგარიშო პერიოდში ჩემს ოლქში მე-12 მიკრო რაიონის N1 კორპუსის ეზოში, ახალი მრავალფუნქციური სპორტული და სარეკრეაციო სივრცის მოწყობა მიმდინარეობს.

- **ამხანაგობების ხელშეწყობა და კომუნალური პრობლემების მოგვარება:** მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მაცხოვრებლებთან ერთობლივი განხილვების საფუძველზე, განახლდა სადარბაზოების შიდა ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა სახურავები და ფასადები, ოპერატიულად აღმოიფხვრა კომუნალური ხარვეზები.

მოქალაქეთა მიღება და საჭიროებებზე რეაგირება:

საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ვმართავდი მოქალაქეთა მიღებას. მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხები ძირითადად ეხებოდა: დასაქმებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, გადაუდებელი ოპერაციებისა და სხვა სამედიცინო მომსახურებების თანადაფინანსებას, ასევე კორპუსის საკითხებს როგორიცაა ლიფტები, სადარბაზოს რემონტი, გადახურვა.

მოქალაქეთა უშუალო ჩართულობითა და ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, ჩვენ შევძელით დასმული პრობლემების უმეტესი ნაწილის დადებითად გადაჭრა.

დასასრულს, მსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობის მიმართ - მათი აქტიურობა, ნდობა და თითოეული გულწრფელი რეკომენდაცია არის ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რაც გვეხმარება ჩვენი ქალაქისა და უბნების უკეთესი მომავლის შენებაში.

თარიღი: 20.10.2026 წ.

ხელმოწერა: **ლელა ლუარსაბიშვილი**